ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

GEORGIA

ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ

MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

N 1910/01
19/02/2020

B.S. GROUP
21.02.2020
IN-BSG-EP-COR-0194

1910-01-2-202002191252

**შპს „კომპანია ბლექ სი გრუპს“**
**მის:** *ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 71*

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 11 თებერვლის №2197 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ხაშურის მუნიციპალიტეტში, სოფ. გომში ასფალტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას.

თქვენ მიერ მიმდინარე წლის 23 იანვარს სამინისტროში წარმოდგენილ იქნა სკრინინგის განცხადება (N986), რასთან დაკავშირებითაც სამინისტროს მიერ დადგენილი იქნა გარკვეული ხარვეზები. აღნიშნულის შესახებ შპს „კომპანია ბლექ სი გრუპს“ ეცნობა N1275/01 წერილით (02.02.2020).

გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები, კერძოდ:

განცხადებას თან არ ახლავს „დაგეგმილი საქმიანობის ზოგადი ტექნიკური მახასიათებლების“ შესახებ კორექტირებული ინფორმაცია, დანართი N6. ასევე, განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია “BENNINGHOVEN”-ის წარმოების “MBA 1250” მარკის მობილური ასფალტის დანადგარში გამოსაყენებელი დიზელის საწვავის საათური და წლიური რაოდენობის შესახებ;

გთხოვთ, უზრუნველყოთ ზემოაღნიშნული შენიშვნებისა და სამინისტროს N1275/01 წერილის შესაბამისად დაზუსტებული სკრინინგის განცხადების/დოკუმენტაციის წარმოდგენა სამინისტროში.

ხატია წილოსანი

მინისტრის მოადგილე

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE